


MARGARITA • SHOTA • MERAB  
THE METREVELIS



მარგარიტა • შოთა • მერაბ  
მეტრეველები





მეტრეველები  
THE METREVELIS

მარგარიტა Margarita  
შოთა Shota  
მერაბ Merab

თბილისი 2023 TBILISI

## მეტრეველების ოჯახური დინასტიის პორტრეტი სახელოსნოს ინტერიერში

არც საქართველოსთვის, მით უფრო არც მსოფლიოსთვის არ არის უცხო, როდესაც ერთი საგვარეულო მე-მკვიდრეობით მრავალ ხელოვანს მიითვლის. მუსიკოსთა თუ მხატვართა ოჯახური დინასტიების არსებობა ხომ იმ უცილობელ ჭეშმარიტებას ეყრდნობა, როდესაც ხელოვნების რომელიმე დარგისადმი მიმართული გენეტიკური კოდი მძლავრობს და მე-მკვიდრეობით მშობლებიდან მათ შთამომავლებზე გადადის. ერთ-ერთ ასეთ გამორჩეულ ოჯახს მეც ვიცნობდი, სადაც დედამ - მხატვარმა მარგარიტა მეტრეველმა და მამამ- ფერმწერმა შოთა მეტრეველმა შვილს - მოქანდაკე მერაბ მეტრეველს მშვენიერების სამყაროს მიმართ ძლიერი ვნება დაანათლეს. სამწუხაროდ, ერთი წლის წინ ეს გამორჩეული შემოქმედი შეუერთდა თავისი საამაყო მშობლების სულთა სამუდამო განსასვენებელს.

ვინაიდან მე ხელოვანთა ამ შესანიშნავი დინასტიის თითოეულ წევრს კარგად ვიცნობდი, მათთან ურთიერთობამ ჩემში გააღვივა იმის შეგნება, რომ ოჯახური სიმტკიცე, სულიერი ერთობა მის წევრთა შორის - ის ქვაკუთხედი, ცხოვრების ის ლიბოა, რომელსაც ძალუძს, ერი გადაშენებისგან იხსნას.

ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები რომ მისი შემქმნელის სულის პროექციაა, ამაზე არ დავობენ. ამიტომაც ხელოვნების ფსიქოლოგია ის მარჯვე მეთოდოლოგიური იარაღია, რომელიც ხელოვნებათმცოდნეს ეხმარება ჩასწვდეს შემოქმედის სულის უფაქიზეს ნიუანსებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ვისარგებლო ამ არაჩვეულებრივი შესაძლებლობით და ხელოვანთა ამ ოჯახის თითოეულ წევრზე ჩატარებული პროფესიული ფსიქოლოგიური დაკვირვების შედეგები მოვიხმო, რომელთა ავტორიც ცნობილი ფსიქოლოგი ვლადიმერ ნორაკიძე გახლავთ. მსურს, ჩემი უშუალო აღქმა - მიღებული მარგარიტა, შოთა და მერაბ მეტრეველების შემოქმედებიდან, რომელიც მათი ვრცელი სახელოსნოს კედლებიდან, ერთმანეთის მიჯრით გამოფენილი მრავალრიცხოვანი ტილოებიდან და მოქანდაკის მბრუნავი

დაზგებიდან თუ სადგამებიდან „გვიმზერს“, შევუჯერო იმ დასკვნებს, რომელიც თავის დროზე მეცნიერ-ფსიქოლოგმა ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადო (იხ. უჩა ჯაფარიძის რედაქტორობით გამოცემული წიგნი-ალბომი „სიცოცხლე გრძელდება“, თბ., 1983). სანამ უშუალოდ ოჯახის თითოეული წევრის შემოქმედებას შევხებოდე, აუცილებელია, მკითხველმა ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გაითვალისწინოს - ხელოვნების არტეფაქტების შექმნის დროის ფაქტორი. მარგარიტა და შოთა მეტრეველებს მოღვაწეობა მოუწიათ საბჭოთა ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ხელოვანთათვის სავალდებულო სოცრეალიზმის მეთოდის იდეოლოგიური იმპერატივით. თუმცა მას „დამორჩილებული“ მეუღლეები მაინც ახერხებენ, შედარებით „უწყინარი“ ჟანრებით (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი ) პოლიტიკურ კონიუნქტურას „გამოსტაცონ“ საკუთრივ თავისთვის ერთგვარი „თავისუფლების ზონა“. ჩემი თაობის შემოქმედს - მერაბ მეტრეველს კი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა ე.წ. პოსტსტალინური ლიბერალიზაციის, ანუ პოლიტიკური „დათბობის“ პერიოდში მოუწია, როდესაც 70-იანელთა თაობა შედარებით თავისუფლად ითავისებდა სხვადასხვა ევროპული მიმართულებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. თუმცა მისი შემოქმედებითი დაღვინების პერიოდი ურთულეს დროს დაემთხვა- როცა საქართველოს ნანატრი დამოუკიდებლობის ხელახალი აღდგენის ხანმოკლე სიხარულს პუტჩი, სამოქალაქო დაპირისპირება, შემდგომ კი ჩრდილოელი მეზობლის მიერ ინსპირირებული აფხაზეთის, შემდეგ ცხინვალის ომები და ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა... ის, რასაც, სამწუხაროდ, დღემდე ბოლო არ უჩანს... ამ ყოველივემ ხელოვანის მგრძნობიარე სულზე ღრმა ნაკვალევი დატოვა.

ირინე აბესაძე

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,*

*პროფესორი-ემერიტუსი*

## A Portrait of the Metreveli Dynasty in the Interior of their Workshop

It is not an uncommon situation in Georgia, even more so in the world, when a family houses several artists under one roof. The existence of family dynasties of musicians or artists is based on an inevitable truth: when a strong genetic code that manifests itself in a certain field of arts is transferred from the parents to their descendants. One example of such outstanding families are the painter parents Margarita and Shota Metreveli, who gifted their son – the sculptor Merab Metreveli – with a strong passion for the world of beauty. Sadly, a year ago this accomplished artist joined his esteemed parents in their eternal resting place.

Since I knew each member of this exceptional dynasty of artists well, my relationship with them awakened in me the awareness that the strength of a family and spiritual unity among its members is the cornerstone and basis of human life, which can save a nation from extinction.

Undoubtedly, any work of art projects the soul of its creator. Consequently, the psychology of art is an effective methodological tool that can help an art critic to understand the subtle nuances of the creator's soul. For this reason, I have decided to take this extraordinary opportunity and present the results of the professional psychological assessments conducted on each member of this family of artists by the renowned psychologist Vladimer Norakidze.

I would like to combine my firsthand observations of the works produced by Margarita, Shota and Merab Metreveli, which "gaze" from the numerous canvases displayed next to each other on the walls and rotating easels or stands in their spacious workshop, with the conclusions made as a result of experimental research conducted by a scientist and psychologist (see the album Life Goes On, editor: Ucha Japaridze, Tbilisi, 1983). Before I begin discussing the work of each member of the family, I must of necessity mention

one important prerequisite: the time when the artworks in question were created. Margarita and Shota Metreveli lived and worked during the period of authoritarian Soviet rule, and were guided by the mandatory ideological imperative of the social realism. However, the "subjugated" spouses still managed to "seize" for themselves a kind of a "zone" that was free from political conjuncture. They managed to do this by means of relatively "harmless" genres of still life, portrait and landscape. The artist of my generation, Merab Metreveli, embarked on his creative career during the period of so-called post-Stalin liberalization, i. e. political "thawing", when the 1970s generation of artists relatively freely experimented with characteristic elements of different European movements. The period of his creative maturity coincided with the most difficult time for Georgia, when the short-lived joy of regaining our long-awaited independence was followed by a coup, civil conflict, and later the wars of Abkhazia and Tskhinvali, and the occupation of those territories instigated by our northern neighbor... Unfortunately, these ongoing processes have left a deep impression on the sensitive soul of the artist.

Irine Abesadze, PhD

Art Historian, Professor Emeritus





მარგარიტა მეტრეველი  
Margarita Metreveli  
1913-1984





ი. ჭავჭავაძე  
ბაზალეთის ტბასთან  
ტილო, ზეთი  
I. CHAVCHAVADZE  
NEAR BAZALETI LAKE  
Oil on canvas  
80 x 100 cm. 1961



აკაკი წერეთელი  
მუყაო, ზეთი  
AKAKI TSERETELI  
Oil on cardboard  
41 x 33 cm. 1970s

რეშე, მისი ზუსტი კოპირება არც უცდია. განსაკუთრებული იყო მხატვრის დამოკიდებულება მშობლიური პეიზაჟისადმი. მარგარიტა მეტრეველი ბევრს მოგზაურობდა თავის მეუღლესთან ერთად, რომელსაც ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში დაუახლოვდა. სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში მათი რომანტიკული ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა და მალე შეუღლებით დაგვირგვინდა. ამან საშუალება მისცა წყვილს, პეიზაჟურ მოტივებზე ერთად ემუშავათ. აქვე უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ ახლად შეუღლებული წყვილი ხშირად ერთსა და იმავე პეიზაჟზე მუშაობდა და ერთი და იმავე მოტივისგან მიღებულ განცდებსაც ერთმანეთს უზიარებდა, მარგარიტა მეტრეველი ყოველთვის ინარჩუნებდა შემოქმედებით ავტონომიას და მის მიერ შექმნილი არტეფაქტი

local landscape. Margarita Metreveli traveled extensively together with her husband, whom she met whilst still at high school. During her studies at the Academy of Arts, their romantic relationship grew even stronger, and was soon crowned with marriage. This allowed the couple to work together on landscape motifs. Here we should note that although the newlywed couple often worked on the same landscape and shared their feelings that were generated by the same motif, Margarita Metreveli always maintained her creative autonomy through the production of artworks that are marked by a pronounced individuality. The creative vision of the female artist was distinguished for its spontaneity, which was combined with a deep knowledge of the fundamentals of painting and the resulting freedom. The art of constructing compositions enabled

მარგარიტა მეტრეველი დაიბადა თბილისში, 1913 წელს. საშუალო სკოლის დასრულებისთანავე სწავლა თბილისის ფარმაცევტულ ტექნიკუმში განაგრძო, მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა ხატვისადმი მიდრეკილებამ განსაზღვრა ის, რომ 1932 წელს იგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში შედის და ჯერ დავით კაკაბაძესთან, ხოლო შემდეგ მოსე თოიძესთან სრულყოფს თავის შემოქმედებას. შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის წყალობით, მხატვარი ქალი სამხატვრო აკადემიაში დატოვეს ასისტენტად. მარგარიტა მეტრეველი დამოუკიდებელ სამოღვაწეო ასპარეზზე 1939 წლიდან გამოდის და აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქის სამხატვრო ცხოვრებაში. მოსე თოიძის სახელოსნოში გამობრძმედილი შემოქმედისთვის რეალისტური მხატვრობა ის ერთადერთი პრიზმა აღმოჩნდა, საიდანაც ჭკრეტდა გარემომცველ სამყაროს, მის ყოველდღიურობას. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ იგი არასდროს გამხდარა ნატურის ბრმა მიმბაძველი და, ფანტაზიის ჩართვის გა-

Margarita Metreveli was born in Tbilisi in 1913. After graduating from Labor School #9, she immediately continued her studies at Tbilisi Pharmaceutical Technical College. However, her inclination toward drawing prompted the fact that in 1932 she enrolled at the Tbilisi Academy of Arts, where she perfected her work first under the guidance of Davit Kakabadze and then Mose Toidze. As a result of her creative talent being brought to light, the female artist was offered the post of assistant at the Academy. Margarita Metreveli launched her independent career in 1939, when she began actively participating in the artistic life of the capital. For an artist who had been shaped in Mose Toidze's workshop, realistic painting turned out to be the only prism through which to contemplate the surrounding world and her everyday life. It must be mentioned that Margarita never became a blind imitator of nature who would try to produce an exact copy without the involvement of her imagination. She developed a particular attitude towards the

ხალიჩაბის რაცხვა  
ტილო, ზეთი  
WASHING CARPETS  
Oil on canvas  
33 x 39 cm. 1944

ცხენები  
ტილო, ზეთი  
HORSES  
Oil on canvas  
40 x 50 cm. 1978







მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობით ხასიათდებოდა. მხატვარი ქალის ხედვა უშუალო-ბით გამოირჩეოდა, ხოლო ხატვის საფუძვლების ღრმა ცოდნა მის ფუნჯს თავისუფლებას ანიჭებდა. კომპოზიციური აგების ხელოვნება კი მარგარიტა მეტრეველს საშუალებას აძლევდა, ერთგვარად „მოეთოკა“ დიდი ზომის ფერწერულ ტილოზე ფუნჯის თავისუფალი თარეში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მხატვარი ქალის ფუნჯის მონასმის ის ენერგეტიკა, რომელიც სიბრტყეზე პასტოზურად დადებულ ნაკვალევს ააშკარავებს და მაყურებელამდე მოტივის ე.წ. „ცოცხალი ფეთქვა“ მოაქვს. ამგვარია ისტორიულ თემაზე შექმნილი მისი ფერწერული სურათები („სამშობლოდან მოწყვეტა“, „ა.პუშკინი თბილისში“, „ა.გრიბოედოვის საფლავზე“, „პალიასტომის ტბასთან“, „ილია ჭავჭავაძე ბაზალეთის ტბასთან“). ასეთივეა მისი პორტრეტული მხატვრობა, სადაც ყოველი ნიუანსი

Margarita Metreveli to “tame” large-scale canvases with the free movements of her brush. I would like to point out the energy of the artist’s brushstrokes, which leaves a paste-like imprint on the surface and brings the so-called “pulse of life” closer to viewers.

These works also include those depicting historical themes (Separation from the Motherland, A. Pushkin in Tbilisi, A. Griboyedov’s Tomb, Next to Paliastomi Lake, Iliia Chavchavadze at Bazaleti Lake); portraits where every nuance is aimed at revealing the character of the illustrated person (Mose Toidze’s Portrait, Suliko, Madona Kvatchadze, Portrait of the People’s Artist of Georgia Grigol Meskhi, Self Portrait, Merab, The Firstborn (Marina Svani’s Portrait), Portrait of Dr. Natela Rukhadze, Nino, etc.); and finally, landscapes (Oni At the Banks of the Rioni River, View from the Bell Tower of Vardzia, Evening, March in Tbilisi, Autumn in the Forest, Rainy Autumn,

ალექსანდრე გრიბოედოვი  
ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ოჯახში  
ტილო, ზეთი  
ALEXANDER GRIBOEDOV IN  
THE FAMILY OF ALEXANDER  
CHAVCHAVADZE  
Oil on canvas  
71 x 91 cm. 1983

პუშკინი თბილისში  
ტილო, ზეთი  
PUSHKIN IN TBILISI  
Oil on canvas  
60 x 52 cm. 1980

მიმართულია პორტრეტირებულის ხასიათის გახსნისკენ („მოსე თოიძის პორტრეტი“, „სულეო“, „მადონა კვაჭაძე“, „საქართველოს სახალხო მხატვრის გრიგოლ მესხის პორტრეტი“, „ავტოპორტრეტი“, „მერაბი“, „პირმშო (მარინა სვანის პორტრეტი), “ექიმ ნათელა რუხაძის პორტრეტი“, „ნინო“და სხვ.) და, ბოლოს, მისი პეიზაჟური მოტივებიც („ონი. რიონის პირად“, „ხედი ვარძიის სამრეკლოდან“, „საღამო“, “მარტი თბილისში“, “შემოდგომა ტყეში“, „წვიმიანი შემოდგომა“, „იყალთოს აკადემიის ნაგრევეები“, „სახლები კლდეზე თბილისში“, “მატილი-დილა სოფლად“, “წვიმის შემდეგ“ და სხვ.), სადაც მხატვარი სრულად წარმოაჩენს თავისი ხასიათის ნიშნებს - ლირიკულ განწყობას, რომანტიკულ აღმაფრენასა თუ საოცრად გაწონასწორებულ, დინჯ, „მოთოკილ“ ვნებებს. ამ მხრივ საინტერესოა ვლადიმერ ნორაკიძის მიერ თავის ცდის პირზე გაცემული დასკვნა: „...მარგარიტა მეტრეველს ახასიათებს სხვათა დახმარების, ზრუნვის მოთხოვნილება, რაც ანტიპოდია ნარცისიზმის, ეგოცენტრულობის, წყაროა კეთილშობილური სოციალურობის, აფილიაციის (მეგობრული კავშირების ძიების)“. მართლაც, მეცნიერის მიერ მხატვრის სულიერი სამყაროს გახსნისთვის მოპოვებულ ამ გასაღებს მხატვრის შემოქმედებას თუ მოვარგებთ, დავინახავთ, რომ მხატვრული ფორმისადმი მარგარიტა მეტრეველის მიდგომა ანალიტიკურია, მისი ძლიერი მხარე - ფერით მეტყველებაა, მზიანი კოლორიტი, რომელიც ძერწავს ფორმას და ამთლიანებს კომპოზიციას, თუმცა კი დაუსრულებლობის ეფექტით. ეს ის შემთხვევაა, რომელსაც ფსიქოლოგები (ამ შემთხვევაში ვ.ნორაკიძე) „აღქმის პრეგნანტობის კანონს“ უწოდებენ - მხატვარი არ ცდილობს, ყოველმხრივ დამუშავებული მთლიანი სტრუქტურა მიაწოდოს მნახველს, რადგან სრულად ენდობა აღმქმელი სუბიექტის ანუ მაყურებლის მხატვრული ფორმის გამთლიანებისკენ სწრაფვის ტენდენციას.

Ruins of the Ikalto Academy, Tbilisi Houses on the Rocks, Morning in the Shatili Countryside, After the Rain among others), where the artist fully presents her character: a lyrical mood, romantic inspiration, or surprisingly balanced, unhurried, and “tamed” passions. In this regard, it is interesting to note Vladimir Norakidze’s conclusion about the person in question: “... Margarita Metreveli is characterized by the need to help and care for others, which is the antipode of narcissism, or egocentrism, and becomes a source of noble sociality and affiliation (searching for friendly ties)”. Indeed, if we apply this scientist’s key findings to the opening of the artist’s spiritual world, we can see that Margarita Metreveli’s approach to artistic forms is analytical, turning her work with colors into her strength. Her sunny colors sculpt the form and unite the composition, although they also accord the works the effect of incompleteness. This is designated by psychologists (in this case, V. Norakidze) as the Law of Perceptual Pragnanz, when the artist does not try to provide the viewer with the whole processed structure, due to implicit trust in the perceiving subject (i. e. the viewer) who strives towards the uniting of artistic forms.





იყალთოს აკადემია. ტილო, ზეთი  
IKALTO ACADEMY. Oil on canvas  
74 x 104 cm. 1955



მარულა ძველ ხონში. ტილო, ზეთი  
HORSE-RACE IN OLD KHONI. Oil on canvas  
38 x 54 cm.





შატილი. ტილო, ზეთი  
SHATILI. Oil on canvas  
80 x 100 cm. 1979



წითელი ხე. ტილო, ზეთი  
RED TREE. Oil on canvas  
55 x 38,5 cm.





ბაგრატის ტაძარი. ტილო, ზეთი  
BAGRATI CATHEDRAL. Oil on canvas  
46,5 x 61,5 cm.

სვატიცხოველი. ტილო, ზეთი  
SVETITSKHOVELI. Oil on canvas  
70 x 101 cm. 1979




მ. მეტრეველი  
1979





ახალი მარგალიტებით (ვაჟა-ფშაველა)  
ტილო, ზეთი  
WITH NEW PEARLS (VAJA-PSHAVELA)  
Oil on canvas  
80 x 61 cm. 1961



ევკალიპტების ჭალა  
ტილო, ზეთი  
EUCALYPTUS FOREST  
Oil on canvas  
69 x 50,2 cm. 1982






ტყვე კახელები  
(სამშობლოდან მოწყვეტა)  
ტილო, ზეთი  
CAPTIVE KAKHETIANS  
(SEPARATION FROM HOMELAND)  
Oil on canvas  
86,5 x 157 cm. 1970





ციცაბო დაღმართზე. ტილო, ზეთი  
ON A STEEP DESCENT. Oil on canvas  
60,5 x 80,5 cm. 1980



თუში მაცხვარე. ტილო, ზეთი  
TUSHETIAN SHEPHERD. Oil on canvas  
41 x 35 cm. 1976





იასამანი. ტილო, ზეთი  
LILAC. Oil on canvas  
75 x 62,5 cm. 1954



ყაყაჩოები. ტილო, ზეთი  
POPPIES. Oil on canvas  
51 x 41 cm. 1956





ძველი ხიდი საინგილოში. მუყაო, ტილო, ზეთი  
 OLD BRIDGE IN SAINGILO. Oil on canvas mounted on cardboard  
 33 x 51 cm. 1970



სიღნაღი. მუყაო, ტილო, ზეთი  
 SIGHNAGHI. Oil on canvas mounted on cardboard  
 35 x 49 cm. 1951









შამილის ტყვე ქალები. ტილო, ზეთი  
CAPTIVE WOMEN OF SHAMIL. Oil on canvas  
67,7 x 65,2 cm. 1981



ნაწვიმარზე. ტილო, ზეთი  
AFTER RAIN. Oil on canvas  
84 x 111 cm. 1960





მიხაკები. მუყაო, ზეთი  
CARNATIONS. Oil on cardboard  
48 x 33 cm. 1970



პირმყო (მარინა სვანი). ტილო, ზეთი  
FIRST-BORN (MARINA SVANI). Oil on canvas  
80 x 60 cm. 1975





თამარ მეფე. ტილო, ზეთი  
QUEEN TAMAR. Oil on canvas  
70 x 50,5 cm. 1966



ვარძიის სამრეკლო. მუყაო, ტილო, ზეთი  
BELL-TOWER OF VARDZIA. Oil on canvas mounted on cardboard  
51 x 32 cm. 1966



ვარძია. ტილო, ზეთი  
VARDZIA. Oil on canvas  
50 x 70 cm. 1966









თათრი ვარდები. მუყაო, ტილო, ზეთი  
WHITE ROSES. Oil on canvas mounted on cardboard  
50 x 37 cm. 1973



ე. ნინოშვილის მოთხრობის „პალიასტომის ტბის“ მოტივზე. ტილო, ზეთი  
ON THE MOTIF OF E. NINOSHVILI'S STORY 'PALIASTOMI LAKE'. Oil on canvas  
50 x 70 cm. 1981





ზაშვორის ღამა. ტილო, ზეთი  
WINTER NIGHT. Oil on canvas  
50 x 70 cm. 1969



ბაკურიანი. მუგო, ზეთი  
BAKURIANI. Oil on cardboard  
31,5 x 46 cm. 1969





ქართული ელგავალი. ტილო, ზეთი  
GEORGIAN ELECTRIC LOCOMOTIVE. Oil on canvas  
100 x 130 cm. 1967





ავტოპორტრეტი. ტილო, ზეთი  
SELF-PORTRAIT. Oil on canvas  
41,5 x 34,5 cm. 1978



ჩემი მერაბი. ტილო, ზეთი  
MY MERABI. Oil on canvas  
49 x 38 cm. 1950





ყვარელი. ტილო, ზეთი  
KVARELI. Oil on canvas  
34 x 45 cm. 1945



მეტრეველი ძველ თბილისში. ტილო, ზეთი  
VENDOR OF MATSONI IN OLD TBILISI. Oil on canvas  
80 x 60 cm. 1981




შაშოძომის წვიმიანი დღე  
მუყაო, ტილო, ზეთი  
A RAINY AUTUMN DAY  
Oil on canvas mounted on cardboard  
31 x 52 cm. 1959







დილა სოფლად. ტილო, ზეთი  
MORNING IN THE COUNTRYSIDE. Oil on canvas  
110 x 134 cm. 1954



წყაროსთან. ტილო, ზეთი  
NEAR SPRING. Oil on canvas  
30 x 24 cm. 1943





მეტეხის ტაძარი. ტილო, ზეთი  
METEKHI CHURCH. Oil on canvas  
50 x 70 cm. 1972



მარტი თბილისში. მუყაო, ტილო, ზეთი  
MARCH IN TBILISI. Oil on canvas mounted on cardboard  
50 x 36 cm. 1973









ძველი თბილისი. ტილო, ზეთი  
OLD TBILISI. Oil on canvas  
47,5 x 56 cm. 1977



ძველი სახლები თბილისში. მუყაო, ტილო, ზეთი  
OLD HOUSES IN TBILISI. Oil on canvas mounted on cardboard  
33 x 38 cm. 1976





პარდუბი. ტილო, ზეთი  
ROSES. Oil on canvas  
56 x 40 cm.



ნატურმორტი. ტილო, ზეთი  
STILL-LIFE. Oil on canvas  
45 x 33 cm. 1950





მობანაჰა ქალაბი. ტილო, ზეთი  
BATHING WOMEN. Oil on canvas  
48 x 60 cm. 1968







ათასწლოვანი ჭადარი თელავში  
მუყაო, ტილო, ზეთი  
THOUSAND-YEAR-OLD PLANE TREE IN TELAVI  
Oil on canvas mounted on cardboard  
50 x 35 cm. 1951



მიმოზა  
ტილო, ზეთი  
MIMOSA  
Oil on canvas  
77 x 55 cm. 1954





აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. ტილო, ზეთი  
AKAKI TSERETELI'S TRIP TO RACHA-LECHKHUMI. Oil on canvas  
59,5 x 78,7 cm.



ხიდი ძველ თბილისში. ტილო, ზეთი  
BRIDGE IN OLD TBILISI. Oil on canvas  
36 x 42 cm. 1940





ავტოპორტრეტი. ტილო, ზეთი  
SELF-PORTRAIT. Oil on canvas  
83 x 65 cm. 1934



შოთა მეტრეველი  
Shota Metreveli  
1913-1983





მეფე ერეკლე მეორე  
რუს სარდლებთან  
ერთად სიღნაღში.  
ტილო, ზეთი  
KING EREKLE II WITH THE  
RUSSIAN COMMANDERS  
IN SIGHNAGHI  
Oil on canvas  
150 x 230 cm. 1980

ხრესილის ბრძოლა  
მუყაო, ზეთი  
KHRESILI BATTLE  
Oil on cardboard  
41 x 63 cm. 1981

და ალექსანდრე ციმაკურიძე ასწავლიან. 1937 წელს, სამხატვრო აკადემიის დასრულებისთანავე, ის, როგორც გამორჩეული სტუდენტი, სამხატვრო აკადემიაში დატოვეს, ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი - უფროს მასწავლებლად. 1939 წლიდან, მარგარიტა მეტრეველთან ერთად, მხატვარი, ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენებით, აქტიურად არის ჩართული დედაქალაქის საგამოფენო ცხოვრებაში.

შოთა მეტრეველის შემოქმედება მრავალჟანრობრივია, თუმცა დომინანტური მაინც თემატური სურათებია. მხატვრის თითოეულ ნამუშევარს გამოარჩევს დასახულ ამოცანათა სიზუსტე და მათი გადაწყვეტის მაღალი პროფესიონალიზმი. ძირითადად ზეთის საღებავებით შესრულებული მისი ფერწერული ტილოების ტექნიკური დონე რეალიზმის უმაღლეს რეგისტრებს სწვდება.

ის, რომ ხატვის საფუძვლები, ჯერ კიდევ ბორჯომში ყოფნისას, შოთა მეტრეველს მხატვარმა გიორგი ხმალაძემ შეასწავლა, ხოლო ბატალური კომპოზიციების აგების სირთულეები, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ვალერიან

assistant, and then later as a senior instructor. From 1939, together with Margarita Metreveli, the artist began actively participating in group and personal exhibitions that were organized in the capital.

Shota Metreveli worked in different genres; however, his works were predominantly focused on thematic images. Each of them is distinguished by the precision of predetermined goals and demonstrate high professionalism. The technical level of execution, mainly achieved with oil paints, attains the highest registers of realism.

Shota Metreveli's adeptness for finding pictorial solutions for his large-scale historical canvases were first developed by artist Giorgi Khmaladze, who taught him the basics of drawing in Borjomi, and later at Tbilisi Academy of Arts by Valerian Sidamon-Eristavi, who helped him to tackle the challenges of structuring battle compositions. These works, which are charged with an impressive dynamism and the patriotic sentiments of the artist, convincingly portray the historic episodes of our country (the Battle of Khresili, King Erekle and the Russian Commanders in Signaghi, Dawn, and Imereti in 1905).

ჩემი პირველი შეხვედრა ბატონ შოთა მეტრეველის შემოქმედებასთან ბავშვობის ასაკში მოხდა, როდესაც მთელი ოჯახი ზაფხულში ბორჯომის სასტუმროში ვისვენებდით. ბორჯომპარკის იმხანად ერთადერთი სასტუმროს ფართო ფოიეში, კედლებზე გამოფენილი იყო დიდი ზომის ფერწერული ტილოები, ბორჯომის ულამაზესი ბუნების ხედებით. როგორც შემდგომში შევიტყვე, ამ პეიზაჟების ავტორი თავად წარმოშობით ბორჯომელი ფერმწერი შოთა მეტრეველი იყო.

თავისი მეუღლის თანატოლი, შოთა მეტრეველიც 1913 წელს დაიბადა, სწავლობდა ბორჯომის ქართულ სკოლაში. 1927 წლიდან ოჯახი გადმოდის თბილისში, სადაც მომავალი ფერმწერი მეცხრე საშუალო სკოლას ამთავრებს. თავისი მომავალი მეუღლეც იქ გაიცნო. 1931 წელს შ. მეტრეველი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ხდება, სადაც მას მოსე თოიძე, იოსებ შარლემანი, ვალერიან სიღამონ-ერისთავი

My first encounter with Shota Metreveli's work occurred in my childhood, when one summer my family and I were vacationing at the Borjomi Hotel. The walls of the spacious lobby of the only hotel in Borjomi Park were covered with large canvases depicting beautiful views of Borjomi scenery. I later learned that the author of these landscapes was Shota Metreveli, a locally born painter.

Sharing the same age as his wife's, Shota Metreveli was also born in 1913. He studied at the Georgian School in Borjomi before moving to Tbilisi together with his family in 1927. There the future painter graduated from Labor School #9, where he became acquainted with his future wife. In 1931, Shota Metreveli enrolled as a student at the Tbilisi Academy of Arts under the guidance of Mose Toidze, Iosif Charlemagne, Valerian Sidamon-Eristavi and Aleksandre Tsimakuridze. In 1937, immediately after graduation he, as an outstanding student, was offered a post at the Academy – first as an

ავადმყოფის იმედი  
ტილო, ზეთი  
THE HOPE OF THE SICK  
Oil on canvas  
114 x 138 cm. 1968

ცხვრის გადარეკვა  
ტილო, ზეთი  
DRIVING OUT OF THE SHEEP  
Oil on canvas  
155 x 207 cm. 1961





სიღამონ-ერისთავმა დააძლევინა, გამოჩნდა დიდი ფორმატის ისტორიული ტილოების ფერწერული გადაწყვეტისას. შთამბეჭდავი დინამიზმითა და მხატვრისული პატრიოტული განცდით დამუხტული ეს ნაწარმოებები დამაჯერებლად გადმოგვცემენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის საბრძოლო ეპოპეას („ხრესილის ბრძოლა“, „მეფე ერეკლე რუს სარდლებთან ერთად სიღნაღში“, „განთიადი. 1905 წელი იმერეთში“). შოთა მეტრეველის კეთილშობილური, ჰუმანური დამოკიდებულება ჩვენი უტყვი მეგობრების - ცხოველების და ფრინველების მიმართ, ბუნებასთან შერწყმის ვაჟასეული განცდა, სოფლური ყოფის იდილიური აღქმა დასამახსოვრებელს ხდის მხატვრის ფერწერულ ტილოებს („ცხვრის გადარეკვა“, „ალე-



ალექსანდრე. ტილო, ზეთი  
AFFECTATION. Oil on canvas  
140 x 168 cm. 1937

ძველი ეზო. ტილო, ზეთი  
OLD YARD. Oil on canvas  
50 x 37 cm. 1942



საქართველოს მთებში  
მუყაო, ზეთი  
IN THE MOUNTAINS  
OF GEORGIA  
Oil on cardboard  
80 x 120 cm. 1980

ალექსანდრე პუშკინი  
ალექსანდრე  
ჭავჭავაძესთან.  
მუყაო, ზეთი  
ALEXANDER PUSHKIN WITH  
ALEXANDER CHAVCHAVADZE  
Oil on cardboard  
68 x 90 cm. 1981

რსი“, „ნახირის დაბრუნება“, „ალავერდობა“, „ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა“, „ძველი ეზო“, „ჟუჟუნა წვიმა - შილდის ციხე“). შფოთისა („მოულოდნელი შემფოთება“) და ტრაგიზმის ნოტები ჟღერს ისტორიული შინაარსის ფერწერული ტილოებიდან: „უკანასკნელი მიაღერება“ (ვაჟა-ფშაველა), „ვანო სარაჯიშვილის უკანასკნელი „თავო ჩემო“ და სხვ. საკატალოგო წერილის შეზღუდული ფორმატის გათვალისწინებით, შეუძლებელია, ყველა მათგანის გაანალიზება, თუმცა, სანამ უშუალოდ შევაჯამებ შოთა მეტრეველის შემოქმედებით ხელწერას, ვფიქრობ, უპრიანია, კვლავ მეცნიერ-ფსიქოლოგის ვლადიმერ ნორაკიდის მიერ მხატვარზე, როგორც ფსიქოლოგიური დაკვირვების სუბიექტზე, გამოთქმულ აზრს დავეყრდნო. ვლადიმერ ნორაკიძე თვლის, რომ „...შოთა მეტრეველი მტკიცე ნებისყოფის და სულიერი ენერგიის მქონე ხელოვანია, რომლის ნებელობითი პოზიტიური მხარე ყოველთვის მაღალი იყო, თუმცა ახასიათებდა ჭარბი ემოციურობა. მას ტალანტი შთააგონებდა, რათა მოეხდინა შინაგანი სულიერი მიზნების რეა-



Shota Metreveli's noble, humane attitude towards our humble friends: animals and birds, Vazha-Pshavela's feelings of merging with nature, and the idyllic perception of rural life makes his works even more memorable (Driving Out the Sheep, Caress, Return of the Herd, Alaverdoba, Buffalo Farm in Anaklia, The Old Yard, Drizzling Rain – the Castle of Shilda). The historic canvases manifest notes of anxiety (Unexpected Concern) and tragedy: The Last Caress (Vazha-Pshavela), The Last Tavo Chemo Song by Vano Sarajishvili, among others. Considering the limited format of this catalogue, it is impossible to analyze them all. However, before summarizing the creative work of Shota Metreveli, I believe it is appropriate to mention the opinion of scientist and psychologist Vladimer Norakidze on the artist as a subject of psychological observation. According to Norakidze"... Shota Metreveli is an artist with a strong will and spiritual energy. His enthusiastic positive side has always been elevated, despite possessing an excessive emotionality. He was inspired by his talent for realizing his inner spiritual goals and objectifying artistic images born





ანაკლიის მავამეჩოობის  
მეურნეობა.  
ტილო, ზეთი  
BUFFALO BREEDING  
FARM IN ANAKLIA  
Oil on canvas  
104 x 201 cm. 1961

პირველი ბოჩოლა  
ტილო, ზეთი  
THE FIRST CALF  
Oil on canvas  
160 x 210 cm. 1965



ლიზაცია და შემოქმედების პროცესში წარმო-  
შობილი მხატვრული ხატების ობიექტივაცია“.  
ამავდროულად, მეცნიერის დაკვირვებით, მხა-  
ტვრის შინაგანი ემოციურ-აფექტური სფერო  
ამბივალენტური ბუნების ყოფილა, ურთიერთ-  
შეჭრილი პესიმისტური და ოპტიმისტური ემო-  
ციებით, რომელიც ხშირად წინააღმდეგობაში  
მოდიოდა მხატვრისეულ ენერგიულ ნებელო-  
ბით შემოქმედებასთან, რაც შოთა მეტრეველში  
იწვევდა „...შინაგან შემფოთებას, ზოგჯერ უმო-  
ტივო წუხილს, რომელთა დაძლევა მისთვის  
დიდ სირთულეს წარმოადგენდა. მიუხედავად  
აღნიშნულისა, გარეგნული ქცევის მიხედვით  
შოთა მეტრეველი იყო ჰარმონიული, მშვიდი  
ადამიანი“. დამეთანხმეთ, ნამდვილად საი-  
ნტერესო დახასიათებაა მეცნიერის მხრიდან,  
რასაც მე, როგორც ხელოვნებათმცოდნე, არ შე-  
მიძლია არ დავეთანხმო, რადგან თვით ფერწე-  
რული ტილოები მეტყველებს, რომ შოთა მეტ-  
რეველი ახერხებს შინაგან წინააღმდეგობათა

in the process of creation." At the same time, based  
on the scientific observation, the artist's internal  
emotional and affective state of mind must have  
been of an ambivalent nature, combining conflicting  
pessimistic and optimistic emotions, which often  
came into conflict with his energetic creativity of  
will, thus causing "... internal anxiety and at times  
even unmotivated concerns that he struggled to  
overcome. Based on his external behavior, Shota  
Metreveli was a harmonious, calm person." I believe  
that this is an interesting character study made by  
the scientist. As an art critic, I cannot disagree with  
his observations, since the canvases themselves  
demonstrate Shota Metreveli's ability to combat  
internal contradictions (which, presumably were  
induced by the illusory Soviet existence), and  
maintain a sense of integrity and harmony. The  
experienced artist managed such a unification of  
compositions and balance of their elements through  
the harmonization of contrasts. The exemplary  
structuring of light and shade allowed him to "weld

ტბიანი ურმული  
